ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია " 18" დეკემბერი 2012 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

"მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები და საფუძველი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ შ.პ.ს. "ალფა-კომი"-ს *(მისამართი: ქ.თბილისი, ფუნიკულიორის ზედა პლატო; ტელ: 2506336, 2368116; ს/ნ №203829250; ანგ №GE78BG000000018176140 1; ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ.ფილიალი, კოდი BAGAGE22; დირექტორი: გიორგი დეკანოსიძე)* – შემდგომში "შემსყიდველს" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს *(მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ, ტელ: 2522022, 2540103 (შიდა126), 551219151; ს/ნ №211346220; ანგ№GE83BG0000000121227200; ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ.ფილიალი, კოდი BAGAGE22; დირექტორი: ირაკლი გურჩიანი)* – შემდგომში "მიმწოდებელს" შორის.

2.2. **წინამდებარე ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) I-ლი მუხლის "ა"-პუნქტი.**

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული **ა/მ Toyota Landcruiser LC70 – სათვის (VIN: JTERB71J400039784; გამოშვების წელი: 2008; სახ.№ VTV-883)**ტექნიკური მომსახურების (კერძოდ: აქტუატორის რემონტი და უკანა რედუქტორის მოხსნა დაყენება) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. *(CPV 50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, კერძოდ დეტალური CPV 50112200 – მანქანის ტექნიკური მომსახურება.)*

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **340 (სამას ორმოცი) ლარს.** აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები (მათ შორის დღგ), რომლის გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

4.2. გასაწევი მომსახურების ღირებულება შედგება: აქტუატორის რემონტი – 70 (სამოცდაათი) ლარი; უკანა რედუქტორის მოხსნა– 250(ორას ორმოცდაათი)ლარი გერმეტიკი-20(ოცი) ლარი

5. მხარეთა უფლება მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.6. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.7. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.8. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ, შპ.ს. "ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს სერვის-ცენტრი.

6.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

6.4. საწარმოს ხელმძღვანელების გარდა, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია საწარმოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ჯგუფის უფროსი ნესტორ თამარაშვილი (პირადი№01012016564).

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი საწარმოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ჯგუფის უფროსი ნესტორ თამარაშვილი (პირადი№01012016564).

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეულ მომსახურებას არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი და იქნება ვარგისი თავისი დანიშნულებით გამოყენებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ დაუყონებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს ნაკლის და დეფექტის აღმოფხვრა.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია: მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

11.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელეს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

13 ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის 'ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

14.3. შემყიდველის მიერ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

შემსყიდველი

შ.პ.ს. "ალფა-კომი"

დირექტორი:

/გ.ფეკანიშვილი/

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ტოიოტა ცენტრი თბილისი"

დირექტორი:

/ი.გურჩიანი/

TOYOTA QUALITY SERVICE	შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი #: 86095	
	ტრანსპორტის სახე:	შეკვეთის შესრულების ვადა:
საქართველო, თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 20-ე კმ. ტელ: 2522022/2531963, ფაქსი: 2530531	მოდელი: LC70 სახ.ნომერი: VTV883 გარბენი:	შეკვეთის დაწყების დრო: 18/12/2012
დამკვეთი: ს/ნ 203829250		შეკვეთის დასრულების დრო:
შპს ალფა-კომი	შასის # : მწარმ.:TOYOTA	18/12/2012

#	შესრულებული სამუშაო	სამუშაოს ღირებულება
1	აქტუატორის რემონტი	70.00
2	უკანა რედუქტორის მოხსნა დაყენება	250.00
		320.00

#	დახარჯული მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
1	ვერმეტიკი	ცალი	1	20.00	20.00
					20.00

სულ შესრულებული მომსახურების ღირებულება:	340.00
ფასდაკლება 0 %:	0.00
გადასახდელი თანხა:	340.00
მათ შორის დღგ 18%:	51.86

დამკვეთი: _____ შემსრულებელი _____

შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი" ს/ნ 211346220
ანგარიშსწორების ანგარიში-—GE83BG0000000121227200
RTGS კოდი----------BAGAGE22
ს/ს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი

შემოსავლების სამსახური

დანართი N5

დამტკიცებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

14.02.2005 წ. N84 წლის ბრძანებით

ეგზემპლარი

1	N 7257703

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

ეა-01 სერია

2	დეკემბერი	2012

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

3	18	დეკემბერი	2012

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

4 **გამყიდველი**

4.1	2	1	1	3	4	6	2	2	0		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

4.2	შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი

დასახელება (სახელი, გვარი)

5 **მყიდველი**

5.1	2	0	3	8	2	9	2	5	0		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ალფა-კომი

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის-ს თანხა
1	2	3	4	5	6
ავტოტექმომსახურება (VTV 883)	სხვა	0,00	340,00	51,86	0,00
სულ			**340,00**	**51,86**	**0,00**

6		7	

საქონლის ზედნადების N

თარიღი

შენიშვნა: პირველი ეგზემპლიარი - მყიდველს, მეორე ეგზემპლიარი - გამყიდველს

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მყიდველს ჩაბარდა ხელზე ხელმოწერა

ეა-01 7257703

ბ.ა

ბ.ა

ქ.თბილისი

"18" დეკემბერი 2012 წელი

მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს. "ალფა-კომი"-ს ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ჯგუფის უფროსი ნესტორ თამარაშვილი, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს დირექტორი ირაკლი გურჩიანი, წინამდებარე აქტზე ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მხარებს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2012 წლის 27 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში შ.პ.ს. "ალფა-კომ"-მა მიიღო შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ა/მ **Toyota Landcruiser LC70 – სათვის (VIN: JTERB71J400039784; გამოშვების წელი: 2008; სახ№ VTV-883)**ტექნიკური მომსახურება(კერძოდ: აქტუატორის რემონტი, უკანა რედუქტორის მოხსნა დაყენება და გერმეტიკი)340 ლარი

შ.პ.ს. "ალფა-კომი" ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ჯგუფის უფროსი:	შ.პ.ს. "ტოიოტა ცენტრი თბილისი" დირექტორი:
---------- /ნ.თამარაშვილი/	---------- /ი.გურჩიანი/